


მიმდინარე წლის 8 მარტს რომში ქართულ-იტალიური ბიზნესფორუმი გაიმართება

- 20 თებერვალი, 2017 - 16:53



„მიმდინარე წლის 8 მარტს ჩვენ რომში გავმართავთ ბიზნესფორუმს, სადაც საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ფართო დელეგაციით გვეწვევა“, – ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო 'Business Time'-ს იტალიის ელჩმა საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ განუცხადა.

„ჩვენს კომპანიებს საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ საქართველოში განსახორციელებელი პროექტების შესახებ. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ აღნიშნულ ფორუმზე უფრო კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია მივიღოთ პორტ ანაკლიის შესახებ, რათა გავეცნოთ, სხვადასხვა ეტაპებზე რა სამუშაოები არის განსახორციელებელი. ბიზნესმენებმა უნდა იცოდნენ, ვთქვათ, ეს პროექტი ღირს \$2,5 მილიარდი, ასაშენებელია ეს და ეს. შესაბამისად, ჩვენ 24 თვის განმავლობაში განაცხადს გავაკეთებთ ამ პროექტებზე. მსგავსი პროექტები ბიზნესმენების ყურადღებას იპყრობს და ისინი მაქსიმალურად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი შესაძლებლობებისა და განსახორციელებელი სამუშაოების თვალსაზრისით“, – განაცხადა ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ.

ელჩი იმედს გამოთქვამს, რომ ფორუმზე ფართოდ იქნებიან წარმოდგენილნი ქართული კომპანიები. „პირველ რიგში, იტალიელი ბიზნესმენების წინაშე არსებული ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა უნდა გადაილახოს. ჩვენც აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. მიმდინარე წლის 8 მარტს ჩვენ რომში გავმართავთ ბიზნესფორუმს, სადაც საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ფართო დელეგაციით გვეწვევა. ჩვენი პირველი ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ იტალიელ ბიზნესმენებს მიეცეთ საშუალება, უკეთესად გაიცნონ საქართველო. ასევე, ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ბიზნესშესაძლებლობებზე, რაც მათ საქართველოში შეიძლება იპოვონ. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიურმა ბიზნესმა უფრო დეტალურად უნდა გაიგოს იმის შესახებ, რომ ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესგარემო, კარგი პროექტები და შესაძლებლობებია.

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი იტალიელი ბიზნესმენი ჩამოვა, თუ კარგი პროექტები იქნება, თუ ისინი მომგებიანი ბიზნესის კეთებას შეძლებენ. თუ კარგი ბიზნესი იქნება, ეს მათ მისცემთ იმაზე ფიქრის შესაძლებლობას, რომ ადგილობრივ მეწარმეებთან ითანამშრომლონ და ამით საქართველოში მოღვაწეობა დაიწყონ. ვიმედოვნებ, რომ ფორუმზე ჩვენ მიერ განსაზღვრული სექტორებიდან ფართოდ იქნებიან წარმოდგენილნი ქართული კომპანიები, რაც ხელს შეუწყობს იტალიელ და ქართველ ბიზნესმენებს შორის კონტაქტების გაცვლას და კომუნიკაციას“, – განუცხადა სააგენტოს იტალიის ელჩმა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად ქართულმა კომპანიებმა უნდა მიმართონ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების ხელშეწყობის დეპარტამენტს ამ ელექტრონული მისამართის მეშვეობით: ntsetskhladze@economy.ge.

